ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ ქსელში

ქართული მართლმსაჯულება ახალ, თანამედროვე მეთოდზე გადავიდა - ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. ახალი სისტემა სამართალწარმოების ყველა დარგს მოიცავს - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. როგორც ამ პროგრამის ერთ-ერთი სულისჩმდგმელი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ამბობს, ელექტრონული პროგრამა საქართველოს 15 დიდ სასამართლოში უკვე მოქმედებს და წლის ბოლოსთვის სრული დატვირთვით ამუშავდება, 2012 წლიდან კი ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ ქსელში მთლიანად იქნება ჩართული.

- ბატონო მამუკა, როგორ გაჩნდა ელექტრონული მართლმსაჯულების შემოღების იდეა და როდის დაიწყეთ მის განხორციელებაზე მუშაობა?

- სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის სიახლე ნამდვილად არ გახლავთ. ეს პროგორამა ევროპის ბევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაინერგა და თითქმის ყველა ქვეყნის მართლმსაჯულება ცდილობს ამ სისტემაზე გადასვლას. როგორც ექსპერტები ამბობენ, ყოველწლიურად ამ პროგრამების შექმნისათვის 5 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება. თუმცა იმის გამო, რომ იგი საკმად რთული შესაქმნელი და ასამოქმედებელია, ხშირად მისი დანერგვის მცდელობა უშედეგოდ სრულდება. თითოეული ასეთი პროგრამის შესაქმნელად და ასამუშავებლად დაახლოებით რვაათი წელია საჭირო.

მიუხედავად დიდი მონდომებისა, სასამართლოს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მხოლოდ 30 პროცენტშია დანერგილი.

საქართველოში მართლმსაჯულების საქმიანობის ელექტრონულ მართვაზე გადაყვანის იდეა თავის დროზე სწორედ ამერიკელებმა მოგვაწოდეს. თუმცა, პროგრამის სირთულის გამო დონორმა ორგანიზაციებმა ისიც გვირჩიეს, სისტემის პრაქტიკულ დანერგვაზე არ იოცნებოთ, ჯერჯერობით, მის თეორიულ დამუშავებაზე იფიქრეთო.

მოკლედ, ამ პროგრამაზე ფიქრი დაახლოებით, ოთხი წლის წინ დავიწყეთ. სასამართლოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ჯგუფის მიზანი იყო სასამართლოში შეგვექმნა საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა.

თავდაპირველად, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვქონდა, რა ტიპის პროგრამა უნდა გაგვეკეთებინა და ორი წლის მანძილზე მხოლოდ სამუშაო გეგმას ვქმნიდით და ვხვეწდით, რაც, ურთულესი პროცესი იყო. ძალზე დიდი დახმარება გაგვიწია მსოფლიოში ამ მიმართულებით არსებულმა გამოცდილებამ. გავეცანით არა მხოლოდ იმ ქვეყნების პრაქტიკას, სადაც მსგავსი ტიპის პროგრამები მუშაობს, იმ ქვეყნების გამოცდილებასაც, სადაც ჩავარდა პროექტები. უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით გამოვრიცხეთ ყველა უზუსტობა, ავიღეთ ყველა დადებითი მხარე, ჩვენი გამოცდილება და იდეები დავუმატეთ და რაც მივიღეთ სახეზეა - დღეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა უკვე დანერგილია თბილისის, რუსთავის, მცხეთის გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორის და ა.შ. სულ 15-მდე სასამართლოში.

აქვე გეტყვით, იმისათვის, რომ სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა შეგვექმნა განვითარებული ქვეყნების მაგალითს გავეცანით, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ სისტემის კოპირებას ვერ მოვახდენდით, რადგან ჯერ ერთი, მათი პროექტები წლების წინ არის შექმნილი და ვინაიდან, კომპიუტერული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, ეს სისტემები უკვე მოძველებულია. და მეორეც, ყველა ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა აქვს, ამიტომ, ელექტრონული სისტემის შექნა, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. ასეთ მცირე დროში, ასეთი სირთულის პროგრამის შექმნა ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ჩვენმა ჯგუფმა, რომელიც პროფესიონალი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული მართლაც შეუძლებელი შესძლო.

- უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობს საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა?

- ეს პროგრამა იმას გულისხმობს, რომ სასამართლო სისტემაში ქაღალდის წარმოება აღარ იარსებებს და საქმის წარმოება თანამედროვე მეთოდით - ელექტრონულად მოხდება.

სასამართლოში შესული ნებისმიერი განცხადება იმთავითვე პირველადი რეგისტრაციის ჟურნალში ხვდებოდა, შემდეგ იგივე ინფორმაცია გადადიოდა საქმის კატეგორიულობის განმსაზღვრელ ჟურნალში, შემდეგ ალფავიტურ ჟურნალში, ივსებოდა სააღრიცხვო სტატისტიკური ბარათი, რის შემდეგაც ინფორმაცია ხვდებოდა მოსამართლეთათვის გადასაცემ ჟურნალში. იგივე ინფორმაცია ინიშნებოდა თანაშემწის ცნობარში და კიდევ რამდენიმე დამატებითი პროცედურის გავლის შემდეგ ეს განცხადება აღწევდა მოსამართლემდე, რომელსაც ასევე, უამრავი საკანცელარიო, ტექნიკური პროცედურის ჩატარება უწევდა. მოსამართლეები ტექნიკური საკითხების მოგვარებაზე უდიდეს დროს და ენერგიას ხარჯავდნენ. გარდა ამისა, ამ პროცედურებს უმეტეს შემთხვევაში, თან ახლდა გარკვეული გაუგებრობები, რის გამოც, მოქალაქე ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა, რის გამოც, უამრავ დროს, ენერგიას და ნერვებს ხარჯავდა.

მართლმსაჯულების საქმის წარმოების კომპიუტერულ სისტემაზე გადაყვანა ერთნაირად სასარგებლოა, როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის და ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის.

ელექტრონული სიტემაში უამრავი ტექნიკური ნიუანსია გათვლილი, თითოეულ დეტალზე საუბარი ახლა ძნელია, იმდენად მრავლისმომცველია იგი, თუმცა, სისტემის მოკლე დახასიათებით, ადვილად მიხვდებით, რომ საქმე ნამდვილად უნიკალურ პროექტთან გვაქვს, რომელიც პროცესში მონაწილე ყველა წევრს, დაწყებული მოსამართლიდან, რომ არაფერი ვთქვათ განმცხადებელზე და მის ადვოკატზე, ჩვეულებრივი სასამართლოს თანამშრომლით დამთავრებული, საქმეს ყველას მინიმუმამდე შეუმსუბუქებს.

ამ პროგრამით განსაკუთრებით შეუმსუბუქდება შრომა მოსამართლეს, ის აღარ იქნება დაკავებული ტექნიკური საკითხების მოგვარებით. სასამართლოში შესული განცხადებები "შემოსული ფოსტის ჟურნალში" მოხვედრისთანავე დავის კატეგორიების მიხედვით დახარისხდება, რის შემდეგაც თანაბარი დატვირთვით, ავტომატურად გადანაწილდება მოსამართლეებზე, რაც მოსამართლის გრაფაში მაშინვე აღინიშნება. ამის შემდეგ მოსამართლე კომპიუტერშივე იწყებს საქმეზე მუშაობას. სისტემის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება, ის, რომ საქმის წარმოების ტექნიკური ნაწილი, რომელსაც მოსამართლის შრომის 30-40 პროცენტი ეთმობოდა, პროგრამაში შაბლონური ფორმით არის მოცემული და მოსამართლეს მხოლოდ ინტელექტუალურ ნაწილზე, გადაწყვეტილების დასაბუთებაზე უხდება მუშაობა. ანუ, მოსამართლის საქმიანობიდან ტექნიკური ნაწილი ამოვარდა და მოსამართლეს ინტელექტუალური მუშაობისთვის უფრო მეტი დრო რჩება, რაც წარმატებით აისახება მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხზე.

გარდა ამისა, სისტემა თავად აკონტროლებს საქმის განხილვის ვადებს, რაც ვადების დარღვევას ფაქტობრივად, გამორიცხავს. მოსამართლეს შეუძლია გაცემული დავალებების კონტროლიც და იმის ნახვაც, თუ როდის აქვს ჩანიშნული სხვა სასამართლო სხდომები.

სპეციალური პროგრამა მოსამართლეს იმასაც ატყობინებს, საქმეში დასახელებული პიროვნება ხომ არ არის არასრულწლოვანი და რა სანქციების გამოყენების უფლება აქვს მოზარდი ბრალდებულის შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც მოსამართლე საქმეს დასრულებულად გამოაცხადებს, რაც სპეციალური მონიშვნით დასტურდება, ამ საქმეში შენიშვნის შეტანა შეუძლებელი ხდება, თვით მოსამართლის მხრიდანაც კი. საქმე ავტომატურად გადადის ვებ გვერდზე (info.court.ge) და მას მხარე ეცნობა.

მოსამართლეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია პროგრამაში შევიდეს და მიიღოს ინფორმაცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, შეიქმნა საძიებო სისტემა, რაც ერთგვაროვანი პარქტიკისთვისაა მნიშვნელოვანი. მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ მისთვის საჭირო საქმეზე მოიძიოს არსებული პრაქტიკა და გაეცნოს მას. ნებისმიერი მუხლის ან საკვანძო სიტყვის სისტემაში აკრეფით, მოსამართლეს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს ამა თუ იმ საქმეზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება გამოქვეყნდება დაშტრიხული ფორმით. ადვოკატს, სტუდენტს, მეცნიერს და სხვა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება მოიძიოს მისთვის საინტერესო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები. ეს ერთგვაროვანი პრაქტიკის უფრო მეტად განვითარებასაც გამოიწვევს და მოსამართლეების კვალიფიკაციის ზრდასაც ხელს შეუწყობს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის საქმიანობის ხელშეუხებლობის მიზნით, მისი გვერდი მკაცრად არის დაცული, სხვა მოსამართლეს, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარესაც, ამა თუ იმ საქმის ნახვა მხოლოდ ბარათის სახით შეუძლია. სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში არა მარტო მოსამართლეების და საქმეში მონაწილე მხარეების ინტერესებია გათვალისწინებული, არამედ იმ ხალხისაც ვინც სასამართლოს საქმიანობით არის დაინტერესებული. ახალ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანალიტიკურ ნაწილს. კერძოდ, პროგრამა ავტომატურად აკეთებს სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკას, როგორც ციფრების სახით, ასევე, საქმეების კატეგორიების და თვით ბრალდებულთა ასაკის და სქესის მიხედვით.

აი, ეს და კიდევ სხვა უამრავი სამოსამართლეო საქმიანობა იწარმოება ელექტრონულ სისტემაში, რაც მოსამართლის დროს და ენერგიას დაზოგავს, მოსამართლეებს აღარ მოუწევთ ტექნიკური საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა, ისინი მხოლოდ საქმეზე გამოსატან გადაწყვეტილებაზე იქნებიან სრულად ორიენტირებული, რაც მართლმსაჯულების ხარისხის კიდევ უფრო გაზრდის.

- მართალია, ხარისხიანი გადაწყვეტილება და სწრაფი მართლმსაჯულება სასამართლოს მომხმარებლებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ საინტერესოა, კიდევ რა სიახლეს სთავაზობს ეს პროგრამა მოქალაქეებს?

- როგორც გითხარით, ახალი სისტემით, ზემოთ ჩამოთვლილი საჟურნალო სისტემა საერთოდ უქმდება. სასამართლოში შესული განცხადება პირდაპირ რეგისტრირდება პროგრამის სპეციალურ გრაფაში - "შემოსული ფოსტის ჟურნალში", სადაც ავტომატურად ინიშნება შეტანის თარიღი, ეძლევა სპეციალური კოდი და ა.შ. პარალელურად, საქმე ხვდება ვებგვერდზე - info.court.ge რაც იმას ნიშნავს, რომ ამავე დღიდან მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ დროს აკრიფოს პაროლი და გააკონტროლოს საკუთარი საქმის მსვლელობა. ყველა მოქმედება, რომელიც საქმეზე განხორციელდება, ვთქვათ, რომელ მოსამართლეს დაეწერა იგი, რა შენიშვნა შეიტანა მოსამართლემ, როგორი განაჩენი ან განჩინება გამოიტანა, ავტომატურად აისახება ვებგვერდზე. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს აღარ სჭირდება ინფორმაციის მისაღებად სისტემატურად ტელეფონზე რეკვა ან სასამართლოში სიარული. აქამდე თუ ერთ კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის გაცემა მხოლოდ მოსამართლის თანაშემწეს შეეძლო, ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, მოქალაქეს თუ კომპიუტერი არ აქვს, სასამართლოს ნებისმიერი თანამშრომელი მოემსახურება ოპერატიულად, რადგან ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ ინფორმაციის მოძიება ყველა მათგანს შეეძლება. ყველა მოქმედება იქნება საჯარო და ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება მის საქმეზე მიიღოს დეტალური ინფორმაცია დაუყოვნებლივ.

ერთი სიტყვით, ახალი, გამჭვირვალე სისტემის დანერგვით მოსამართლეებს მაქსიმალურად შეუმსუბუქდებათ შრომა, სასამართლოში შემცირდება დოკუმენტების გაუთავებელი მოძრაობა და რაც მთავარია, მოქალაქეებს საგრძნობლად გაუადვილდებათ სასამართლო სისტემასთან ურთიერთობა, რაც მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობას კიდევ უფრო გაზრდის.

- როგორც თქვით, ეს პროგრამა 15 სასამართლოში უკვე მუშაობს, საინტერესოა, როგორ ამოქმედდა ის მაგალითად, რუსთავის სასამართლოში?

- პროგრამამ ტესტირება რუსთავის სასამართლოში წარმატებით გაიარა. ამ ეტაპზე პროგრამა სრული დატვირთვით არ მუშაობს, რადგანაც, ზოგიერთი დეტალი ჯერჯერობით ტესტირების რეჟიმშია, მიმდინარეობს გარკვეული სერვისების სრულყოფა, უახლოეს მომავალში სააპელაციო სასამართლოები და სავარაუდოდ, სხვა უწყებებიც ჩაერთვებიან მასში და წლის ბოლოსთვის ის სრულყოფილად ამოქმედდება. მომავალ წელს კი საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში საქართველოს სასამართლო სისტემა მთლიანად ჩაერთვება.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, ახალი სისტემა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ სიახლეს ითვალისწინებს. გარდა იმისა, რომ ამ სისტემაში ქართული მართლმსაჯულება სრულად გაერთიანდება, 2012 წლიდან მას სხვა უწყებებიც შეუერთდება. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იმისათვის, რომ მოსამართლემ დროულად მიიღოს ინფორმაცია პირის ნასამართლეობაზე, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო - ბრალდებულის ან პატიმრის მდგომარეობის გადასამოწმებლად, სამოქალაქო და საჯარო რეესტრები და ა.შ.

მომავალი წლიდან სასამართლო თავის მომხმარებელს ძალიან ბევრ სიახლეს შესთავაზებს. პროგრამა ისეთ დონეზეა დახვეწილი, რომ მასში ნებისმიერი სერვისის ჩართვაა შეიძლება და ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. პროგრამისტები მუშაობენ იმაზე, რომ საქმის დასრულების შესახებ ინფორმაცია მხარეს ეს-ემ-ესით ან ელექტრონული ფოსტით შეატყობინონ. შესაძლებელი გახდება სასამართლოში სარჩელის დისტანციურად შემოტანა.

პროგრამა მუდმივად იხვეწება და მომავლისთვის იგი კიდევ ბევრ ნოვაციას დანერგავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მთავარი მოთხოვნა შესრულებულია - კიდევ უფრო სწრაფი, ხარისხიანი და გამჭირვალე სასამართლო სისტემის ასამოქმედებლად ახალი პროგრამა შექმნილია და წარმატებით მუშაობს.

სასამართლოს ქრონიკა
10 ოქტომბერი, 2011 წელი

რა შემთხვევაში იყენებს სასამართლო საჯარო შეტყობინებას

რას ნიშნავს სასამართლოს მიერ გაგზავნილი საჯარო შეტყობინება, რა შემთხვევაში მიმართავს მართლმსაჯულება შეტყობინების ასეთ ფორმას და რა წესები არსებობს იმისთვის, რომ მხარეებს პრობლემები არ შეექმნათ სამართალწარმოების დროს? არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოპასუხე მხარე სხვადასხვა მეთოდით თავს არიდებს სასამართლო შეტყობინების მიღებას, რაც, ბოლოს, ისევ და ისევ მას უქმნის პრობლემებს. საქმე ისაა, რომ კანონი სასამართლო შეტყობინებების მიღების ვადებს აწესებს და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობასაც იძლევა.

პროცესის მონაწილეებისთვის სასამართლო შეტყობინებების სათანადო წესით ჩაბარება სასამართლოს საქმიანობის ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო შეტყობინებების გაგზავნის სხვადასხვა საშუალებებს ითვალისწინებს. კერძოდ, სასამართლო შეტყობინება იგზავნება ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. გარდა ამისა, არსებობს სასამართლო შეტყობინებების საჯაროდ გავრცელების გზაც.

საჯარო შეტყობინებით, შესაძლოა, გავრცელდეს სასამართლო უწყება, გადაწყვეტილება, განჩინება და გზავნილი მოპასუხისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გადაცემის და მისთვის შესაგებლის წარმოსადგენად ვადის დანიშვნის შესახებ, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება.

საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მე-7 დღეს სასამართლო შეტყობინება - უწყება, გადაწყვეტილება, განჩინება და გზავნილი მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გადაცემისა და მისთვის შესაგებლის წარმოსადგენად ვადის დანიშვნის შესახებ, მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, რასაც შესაბამისად მოჰყვება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.

სასამართლო შეტყობინებების ჩაბარება საჯაროდ გავრცელების გზით შესაძლებელია კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლო უნდა ეცადოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებული რომელიმე საშუალებებით ჩააბაროს მხარეს სასამართლო შეტყობინება. თუ ამოიწურა მხარისათვის სხვადასხვა საშუალებებით სასამართლო შეტყობინებების ჩაბარების შესაძლებლობა ან თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უკვე იყენებს საჯარო შეტყობინებას.

კანონის თანახმად, საჯარო შეტყობინება ხორციელდება ორ შემთხვევაში: როდესაც მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება.

საჯარო შეტყობინება გამოიყება მაშინ, თუ უცნობია მოპასუხის ადგილსამყოფელი სარჩელის აღძვრისას.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, თუმცა მოსარჩელეს მითითებული აქვს მოპასუხის უკანასკნელი ადგილსამყოფელის ან სამუშაო ადგილის მისამართი, სასამართლო შეტყობინება გაიგზავნება მოპასუხის უკანასკნელი ადგილსამყოფლის ან სამუშაო ადგილის მიხედვით და თუ ვერ მოხერხდება მოპასუხისათვის სასამართლოს შეტყობინების ჩაბარება, მხოლოდ ამის შემდეგ არის სასამართლო უფლებამოსილი გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საჯარო შეტყობინება გამოიყენება ისეთ შემთხვევაშიც, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია, თუმცა მას უწყება ვერ ჩაბარდა დამატებით ერთხელ მაინც გაგზავნის შემდეგაც კი.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საჯარო შეტყობინების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს მხარეთა მიერ თავიანთი მისამართის მითითების შემთხვევაში.

თუ საჯარო შეტყობინებით ვრცელდება სასამართლო უწყება, იგი გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს ჩაბარებულად ჩაითვლება და სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თუ საჯარო შეტყობინებით ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება), იგი გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს ჩაბარებულად ჩაითვლება მხარისათვის და კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება (განჩინება) შევა კანონიერ ძალაში და მხარე ვეღარ შეძლებს მის გასაჩივრებას.

თუ საჯარო შეტყობინებით ვრცელდება განჩინება სარჩელის ნარმოებაში მიღების შესახებ და გზავნილი მოპასუხისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გადაცემისა და მისთვის შესაგებლის წარმოსადგენად ვადის დანიშვნის შესახებ, იგი გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს ჩაბარებულად ჩაითვლება მოპასუხისთვის და განჩინებაში მითითებულ ვადაში მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი იქნება კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობისას გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თაღლითობაში გამართლებული

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თაღლითობაში ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

გიორგი ტყაბლაძეს ბრალი თავისი მეგობრის თ.ჯ-ს ნივთების თაღლითურად მისაკუთრებაში ედებოდა. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულმა სხვისი კუთვნილი ოქროს სამკაულები და მობილური ტელეფონი წყალტუბოში მდებარე ლომბარდში ჩააბარა. მატერიალური მდგომარეობის გამო გ.ტ-მ მათი გამოსყიდვა და თ.ჯ-სთვის მიცემული პირობის შესრულება ვერ შეძლო. დაზარალებულის განცხადების შედეგად წყალტუბოს შს სამმართველოში საქმის გამოძიება თაღლითობის ბრალდებით დაიწყო. საქმის გამოძიებისას ბრალდებულმა დაადასტურა მითითებული გარემოებები. მანვე გამოძიების მწარმოებელ ორგანოში თ.ჯ-ს კუთვნილი ოქროს სამკაულები წარადგინა, მობილური ტელეფონის საფასური კი მეგობარს თანხით გადაუხადა.

შეკრებილ მტკიცებულებათა ანალიზის შემდეგ სასამართლომ ბრალდებულის მიერ თაღლითობის განზრახვა გამორიცხა და გ.ტ-ს ბრალი მოუხსნა.

სასამართლომ "აიდიეს ბორჯომს" ფინანსური სანქცია მოუხსნა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საგადასახადო დავა "აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი საქართველო" ფილიალის სასარგებლოდ გადაწყვიტა და იგი 400 000-ლარიანი ფინანსური სანქციისგან გაათავისუფლა.

საგადასახადო ორგანომ ინვენტარიზაციის შედეგად საწარმოს საგადასახადო სამართალდარღვევა დაუდგინა და ჯარიმის გადახდა დააკისრა.

საწარმომ დარიცხვის საფუძვლიანობა სადავო გახადა ჯერ ფინანსთა სამინისტროში, შემდეგ კი სასამართლოში.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტები და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდზე "აიდიეს ბორჯომს" გააჩნდა გაწეული ყველა ხარჯის დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ სადავო დარიცხვის განხორციელებისას არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული და შედარებული ინვენტარიზაციის მონაცემებთან.

ადმინისტრაციულმა პალატამ მიიჩნია რომ კომპანიას საგადასახადო სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რის გამოც მას ფინანსური სანქცია არ უნდა დაკისრებოდა და "აიდიეს ბორჯომი" 400 00 ლარის გადახდისგან გაათავისუფლა.

სასამართლომ ნარკოტიკების შენახვაში ბრალდებულს პირობითი მსჯავრი მიუსაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ დ. თ-ს მიმართ, რომელსაც ბრალად ნარკოტიკული საშუალებების შენახვა ედებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, ახმეტის რაიონში მცხოვრებმა დ.თ-მ თავის საკარმიდამო ნაკვეთში ნახა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე ყაყაჩოს ძირები, რომელიც დაკრიფა, გააშრო, დაფქვა და შეინახა საცხოვრებელ სახლში.

ჩატარებული ქიმური და ბოტანიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ დ.თ-ს საცხოვრებელ სახლში აღმოჩენილი ფხვნილი შეიცავს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკულად აქტიურ ალკალოიდებს.

თელავის რაიონულმა სასამართლომ დ.თ-ს პირობითი მსჯავრი მიუსაჯა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მსხვერპლით დასრულებული ავტოავარია

თელავის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ა.გ-ს მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა ნასვამ მდგომარეობაში მართვის მოწმობის გარეშე ავტომანქანას მართვაში, რასაც შედეგად მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევა,რომელსაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ორმა ადამიანმა სიცოცხლისთვის ნაკლებად საშიში ტრავმა მიიღო.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 28 ივნისს, საღამოს საათებში გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისიდან ბაკურციხის მიმართულებით მიმავალი "მერსედესის" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მართვის უფლება ჩამორთმეული, ნასვამი ა.გ შეეჯახა შავი ფერის "ოპელ ომეგას" მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში მცხოვრები ტარიელ ტ. შეჯახების შედეგად აღნიშნულმა "ოპელ ომეგამ" დაკარგა მართვა, გადავიდა გზის საპირისპირო სამოძრაო ზოლში და შეეჯახა ბაკურციხიდან თბილისის მიმართულებით მიმავალ წითელი ფერის "ოპელ ომეგას", რომელსაც მართავდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში მცხოვრები ვლადიმერ ყ. შეჯახების შედეგად ვ. ყაჭაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა გადავიდა სავალი გზის მარჯვენა მხარეს მინდორში და გაჩერდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, წითელი ფერის " ოპელ ომეგაში" ორი ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა. სხვა მგზავრებმა ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღეს, რაც შეეხება შავი ფერის "ოპელ ომეგას" მძღოლს, ტრისტან ტ. ავარიის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო, 2011 წლის 9 ივლისს ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა.

სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა ა.გ-მ თავი დამნაშავედ არ ცნო. ბრალდებულ ა.გ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება არ ჰქონდა, რის გამოც სასამართლომ ა.გ-ს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის - 5 500 ლარის გადახდა მიუსაჯა.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.